სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 დეკემბერი, 2024 წ.

ბრძანება №01-02/220

უქმე დღეების გამოცხადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უქმე დღეებია 1 და 2 იანვარი. ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია განისაზღვროს სხვა უქმე დღეებიც.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 დეკემბრის N441 დადგენილებით განისაზღვრა უქმე დღეები (2025 წლის 3 იანვარი, 6 იანვარი და 8-10 იანვარი). აღნიშნული დადგენილების **მე-2 მუხლის თანახმად** ,,ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ/მის სისტემაში შემავალ *სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს* დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია ბსუ-ს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების უწყვეტი ფუნქციონირება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 დეკემბრის N441დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად მიზანშეწონილია ეს დადგენილება არ გავრცელდეს და (2025 წლის 6 იანვარს და 8-10 **იანვარს იმუშაოს ბსუ-ს** შემდეგმა სტრუქტურულმა ერთეულებმა: დაცვისა და შრომის უსაფრთხოების განყოფილებამ, საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა, მათ შორის შესყიდვების სამსახურმა, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია), ასევე მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა (მძღოლებმა ან/და სხვა პირებმა, ბსუ-ს საქმიანობის საჭიროების გათვალისწინებით), ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა, რექტორმა, მოადგილეებმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ფაკულტეტის დეკანებმა.
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 04 დეკემბრის N06-01/107 დადგენილების, ,,უქმე

დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 დეკემბრის N441 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 დეკემბრის N441 დადგენილება არ გავრცელდეს და **2025 წლის 6 იანვარს და 8-10 იანვარს იმუშაოს** (შესაძლებელია განსხვავებული, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, შემცირებული სამუშაო დღის გათვალისწინებით) ბსუ-ს შემდეგმა სტრუქტურულმა ერთეულებმა/დასაქმებულებმა:

ა) ბსუ-ს რექტორმა;
ბ) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა;
გ) ბსუ-ს რექტორის მოადგილეებმა;
დ) ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა;
ე) დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურმა;
ვ) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა და შესყიდვების სამსახურის პერსონალმა;
ზ) ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ (გიორგი დიასამიძე) და მდივანმა (ხათუნა აფაქიძე);
თ) ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) (ხათუნა ხალვაში - ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში სამსახურის პერსონალმა - დისტანციურად, უფროსის დავალების შესაბამისად);
ი) მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა (როლანდ ხალვაში; ალექსანდრე გოგიტიძე, მერაბ ხალვაში, ტარიელ დიასამიძე).

2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, პერსონალს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**